სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/132

ქ. თბილისი 30 09 2020 წ.

სტუ-სა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ბაკალავრიატის პროგრამების სტუდენტებისათვის 2020-2021 სასწავლო წლის სასწავლო განრიგის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, "საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის №20 დადგენილების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციისა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანის, ბატონი ჰალილ გიუვენის 2020 წლის 26 აგვისტოს №SDSU 211-08-2020 წერილის საფუძველზე, 2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების (სამშენებლო ინჟინერია, სამოქალაქო ინჟინერია, ქიმია/ბიოქიმია, ელექტრული ინჟინერია და კომპიუტერული ინჟინერია) სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი) ჩაითვალოს დაწყებულად 2020 წლის 31 აგვისტოდან და გაგრძელდეს 2020 წლის 11 დეკემბრის ჩათვლით;
2. სასწავლო პროცესი 2020 წლის 19 ოქტომბრამდე წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში, ხოლო 19 ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი გაგრძელდეს არადისტანციურ რეჟიმში.
3. იზოლაციაში ან კარანტინში მყოფი სტუდენტებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების თეორიული ნაწილი წარიმართოს დისტანციურად.
4. არადისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვისას უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა მოხდეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, მათ შორის, 1-მეტრიანი დისტანციის დაცვით, შენობაში შემსვლელი ყველა პირისთვის პირბადის სავალდებულო ტარებით.

5. დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა იხელმძღვანელონ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით.
6. შემოდგომის სემესტრის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2020 წლის 14 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნოს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად;
7. 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს 2021 წლის 18 იანვრიდან 08 მაისის ჩათვლით;
   დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2021 წლის 10 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნოს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად;
8. 2020-2021 სასწავლო წლის ზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს 2021 წლის 17 მაისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით;
   დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2021 წლის 19 აგვისტოდან 24 აგვისტოს ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნოს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად;
9. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ჩატარდება მისამართზე: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. №5, მესამე სართული, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანატი (საკონტაქტო ტელეფონი: 2 311 611);
10. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი) სტუდენტთა დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები შეიტანოს შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე);
11. სემესტრის ბოლოს, არა უგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა, სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. აკადემიურ დეპარტამენტში რეგისტრირებული უწყისი არსებული წესის მიხედვით გადაეცემა დეკანატს;
12. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს, სემესტრის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ მოხსენებითი ბარათები სემესტრის ჩატარების, საბოლოო შედეგებისა და სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაციის დასრულების შესახებ, აგრეთვე სტუდენტთა რეიტინგული სიები;
13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს;
14. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი დ. გურგენიძე